ᲛᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 44 (18586) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, 1981 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲡᲙᲙᲞ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲛᲐ.

ᲦᲠᲛᲐᲓ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲜᲓᲔᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲘᲙᲐ — ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲔᲑᲘ.

ᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲡᲗᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ? ᲐᲛᲐᲡ ᲐᲨᲣᲥᲔᲑᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲕᲐᲙᲕᲔᲣᲜᲔᲑᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

20 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა მუშაობა განაგრძო.

განახლდა კამათი პლენუმის დღის წესრიგის გამო „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს 1982 წლის საქმიანობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის ამოცანები“. კამათში მონაწილეობდნენ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბ. აბაშიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი ვ. ი. არაბიძე.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმის დროს მისმა თითოეულმა მონაწილემ წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი იმის შესახებ, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების, იმ დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ამ პლენუმსა და მოსკოვის ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე. პლენუმის მომზადების პროცესში მიღებული ეს წინადადებანი აისახა მის დოკუმენტებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, მთელი მისი მიმდინარეობა, მონყობის ფორმა, პრინციპულობა, საქმიანობა, აზრთა თავისუფალი გაზიარება რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო, საარსებო მნიშვნელობის საკითხებზე, ნაკლოვანებათა გულახდილი კრიტიკა, თვითკრიტიკა, კეთილმოსურნეობის ატმოსფერო, თითოეული მისი მონაწილის ღრმა დაინტერესება რესპუბლიკის წინაშე მდგომი დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტით — პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია. მან ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები:

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად ამხ. ი. ნ. ᲠᲘᲜᲘᲙᲘᲙᲘᲫᲘᲡ არჩევასთან დაკავშირებით პლენუმმა იგი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს უფროსად ამხ. ა. ი. ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲘᲡ გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა იგი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავდაცვითი მრეწველობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავდაცვითი მრეწველობის განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ტ. ვ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილედ.

ამით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

პლენუმის ანგარიში გამოქვეყნდება. (საქინფორმი).

ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲗ

1 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲢᲕᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲝ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲞᲧᲝᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲒᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲒᲨᲘᲠᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲜᲘᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲖᲝᲒᲐᲓᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲐᲜᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲡᲜᲐᲕᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ“. ᲙᲐᲛᲐᲗᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲜᲘᲪᲚᲝᲞᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ-ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ �გᲛᲘᲠᲘ Ი. Ბ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲑᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲓᲜᲝᲑᲔᲚᲘ Ვ. Ი. ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲛᲐ, საქართველოს კომპარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲛᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲛ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, რომ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ“. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲝᲤᲘᲗ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝ�პᲝᲕᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ Ჯ. ᲨᲔᲘᲡᲝᲜᲡ

21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ი. ვ. ანდროპოვმა კრემლში მიიღო საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრი ჟ. შეისონი, რომელიც მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება. საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ კარგი შესაძლებლობანი არსებობს სხვადასხვა დარგში სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაყოფიერი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

საერთაშორისო საკითხების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების ამოცანას, მათ შორის საბჭოთა კავშირის წინადადებას პარიტეტის საფუძველზე საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ.

ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნის ხალხთა ტრადიციული კეთილი ურთიერთობის სულისკვეთებით სსრ კავშირისა და საფრანგეთის პოლიტიკური კონტაქტებისა და დიალოგის შემდგომ განვითარებას.

კ. შეისონმა ი. ვ. ანდროპოვს გადასცა საფრანგეთის პრეზიდენტის ფ. მიტერანის პირადი წერილი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ი. მ. ვორონცოვი; საფრანგეთის მხრივ — საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში კ. არნო, საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ჟ. ანდრანი. (საკდესი).

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ საბერძნეთის მთავრობის მიწვევით მოსკოვიდან ათენს ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი.

ენუკოვის აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ა. ალიევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

„ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ათწლეულის განმავლობაში კოლხეთის მიწების დაშრობა და ათვისება 70 ათას ჰექტარზე“. ᲥᲕᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲣᲠᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲔᲡ ᲑᲬᲧᲐᲠᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲐᲓ ᲒᲐᲚᲓᲔᲒᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲡ „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡᲨᲔᲜᲘᲡ“ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲖᲠᲣᲜᲕᲐᲡ.

ᲛᲐᲠᲗᲝ ᲨᲐᲠᲗᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲩᲐᲐᲣᲤᲚᲔᲡ ᲗᲘᲗᲛᲭᲘᲛᲘᲡ 7 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲜᲐᲒᲐᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲐ, ᲒᲐᲐᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲔᲡ 700 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ, ᲨᲔᲐᲠᲣᲚᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘ�გᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲘᲡᲔᲚᲘ ᲠᲘᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კოლხეთის დასაშრობად წოძმე ეხტონეთიდან ჩამოვიდა მექანიზატორი აადუ პალნისაარი. იგი შრომობს სადრენაჟო ჭრილის გაყვანაზე ლანჩხუთის რაიონის მეურნეობებში; მძლავრი ტექნიკა მუშაობს ზუგდიდის რაიონში შემკრებ-დამშრობი არხების მშენებლობაზე. აქ სამუშაოები უნდა აწარმოონ ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე.

Ი. ᲞᲝᲪᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

RESAUBLIKIS ყველაზე ავტორიტეტიანმა შემოქმედებითმა ძალებმა გააეთიანეს ენერგია გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადების საქმეში. აღნიშნა რა ეს ფაქტი, რესპუბლიკურმა საიუბილეო კომისიამ მიმდინარე წლის 18 თებერვალს გამართულ თავის სხდომაზე განიხილა ინფორმაცია ამ მიმართულებით საქართველოში, აგრეთვე მომმე მოკავშირე რესპუბლიკებში, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი საქმიანობის შესახებ. მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, ვლადიმირიდან, ვლადივოსტოკიდან, გეორგიევსკიდან და მთელი სტავროპოლის მხარიდან, ასტრახანიდან, რუსეთის სფს რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან მიღებული ცნობები მოწმობს, რომ ზეიმისათვის მზადება სულ უფრო მეტად იზიდავს თავისი იდეურ-სულიერი მიზიდულობის სფეროში მშრომელთა უფაროფეს წრეებს, მომმე ხალხს მეცნიერულ და შემოქმედ ინტელიგენციას. ნიშანდობლივია, რომ ამ მოვლენებისათვის მზადება არ ამიოწურება მისი ისტორიული და კულტურული ასპექტებით, საქმიანი თანამშრომლობის გაღრმავების შესამჩნევ ტენდენციას ავლენს ეკონომიკის დარგშიც. მაგალითად, მთელმა რიგმა საკავშირო სამინისტროებმა და უწყებებმა სპეციალური გადაწყვეტილებები მიიღეს ტაბაკიცეს საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა გეგმები, რომელთა განხორციელება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის წელს უდიდეს წვლილს შეიტანს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში, მისი მშრომელების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

საიუბილეო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. სხდომის დღის წესრიგში იდგა საკითხები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა განეხილათ დღესასწაულთან დაკავშირებული ჩანაფიქრებისა და მონახაზების მთელი ერთობლიობა.

გააცნო რა შეკრებილთ ძირითადი საიუბილეო ღონისძიებანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ᲔᲜᲣᲭᲘᲫᲔ საგანგებოდ აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის ქალაქებში ეს ღონისძიებანი არსებითად უკვე ხორციელდება. მომავალი ქართული მოსკოვის დღეები მოსკოვში, გამოფენები, ზ. ფალიაშვილისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრების გასტროლები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, სხვა ღონისძიებანი გაორმავებს და გამდიდრებს მომმე ხალხთა ტრადიციულ სულიერ კავშირს. მემორიალური ნაგებობებით მონიშნავს მოსკოვი თითოეული ქართველის გულისათვის ძვირფას ადგილებს — დონის მონასტრის ნეკროპოლს, ყოვლადწმინდის ეკლესიას... ქართველი ხალხის ეროვნულ გენიას განადიდებს პარტიის გადაწყვეტილებით მშენებარე ბევრი ძეგლი და მემორიალი — ბაგრატიონი, „ვეფხისტყაოსანი“, „დედაენა“, საძირკველი ჩაეყარა დიდგორის ბრძოლის გმირთა ძეგლს.

ამ დარგში საქმის ვითარება საფუძვლიანად გააშუქეს თავიანთ ინფორმაციებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაბუნიამ. საიუბილეო ღონისძიებათა რუკაზე საგანგებოდ არის მონიშნული ქალაქები თბილისი და თელავი, აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზა. გეგმებით გათვალისწინებული საინჟინრო ნაგებობანი და მხატვრული გაფორმება დამთავრების სტადიაშია. დასადგმელად მზად არის ძეგლები და კომპოზიციები, მათ შორის „თერგდალეულებისა“ და ვაჟკაცობის დამცველებისადმი მიძღვნილი ძეგლები და კომპოზიციები, მიმდინარეობს ტრასის გაყოლებაზე განლაგებული საქართველოს ისტორიისა და კულტურის ოცდასამი ძეგლის აღდგენა. თბილისში გაჩაღებულია სასტუმრო „ივერიასთან“ სატრანსპორტო კვანძის, საზეიმო მოვლენათა სახლის, უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროს“, სხვა ობიექტების მშენებლობა, მნიშვნელოვანი სამუშაოები უნდა დამთავრდეს ძველი თბილისის სარესტავრაციო უბნეგში.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმში საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობის შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. ქართული ინდუსტრიის მრავალრიცხოვან ობიექტებს, რომლებიც აშენდა რუსეთის ფედერაციისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დახმარებით, შეემატება დიდი ნაგებობანი, რომელთა უსწრაფესი დამთავრება დამკვრელურ საქმედ არის გამოცხადებული. საავტომობილო, მსუბუქი, ქიმიური მრეწველობის, კავშირგაბმულობის, გზათა, ხილბოსტნეულის მეურნეობის, სატრანსპორტო მშენებლობისა და სხვა საკავშირო სამინისტროების მიერ გამოყოფილი სახსრები და კაპიტალდაბანდებანი არა მარტო განმტკიცებს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო ბაზას, არამედ გაამდიდრებს კიდეც მის სოციალურ ინფრასტრუქტურას.

ძმური თანამშრომლობის შთამბეჭდავი და ამასთან ამაღელვებელი პანორამა წარმოჩინდა ინფორმაციაში საქართველოს სსრ და რუსეთის სფსრ ცალკეული რეგიონების, ორგანიზაციებისა და საწარმოების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. ეს ინფორმაცია სხდომაზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ჟ. კ. შარტავამ.

საიუბილეო კომისიის სხდომაზე აგრეთვე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ᲯᲐᲜᲘᲒᲘᲠᲘᲫᲔ.

მომავალი დღესასწაულის მრავალრიცხოვანი ასპექტები ყოვლმხრივ გაშუქეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ



იქ, სადაც არაგვი

დაგუგდება...

დამთავრდა ენინვალის ჰიდროელექტროსადგურის საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობა. ჩაწყობილია პირველი 6000 მეტრი რკინაბეტონის მილები, რომლებითაც არაგვის წყალი 510 მილიონი კუბური მეტრი ტევადობის ენინვალის წყალსაცავიდან ელექტროსადგურში გადამუშავების შემდეგ „თბილისის ზღვაში“ ჩაედინება. პრინციპულად ახალი პროფილის, თითოეული 40 ტონამდე მილების გამოშვება აითვისეს აქ 30 — ენინვალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პოლიგონზე.

... ხმაური და ფუსფუსია ახლა არაგვის ნაპირებზე. დაბა არანისდან ქვემოთ მშენებარე წყალსაცავისაკენ, სიღრმული მიწისქვეშა გვირაბისაკენ მიქრიან რკინაბეტონის კონსტრუქციებით, ავტომენტით, აგურითა და არმატურით დატვირთული „ბელაზები“, „კრაზები“, „მაზები“, გუგუნებენ, ფრთხილად იკვლევენ გზას პირდაღებული ექსკავატორები და ბულდოზერები. აი, მოაბიჯებენ მაღაროელის კასკეტიანი ჭაბუკები. ესენი არიან შეექსკავატორები ბალავა აფციაური, მამა-შვილი ნიკოლოზ და პავლე ბელიანსკები, ბულდოზერე ვანო გაგუნაშვილი, მემონტაჟე თევდორე მიხაილიდი, მეგვირაბეები ბაგრატ ლომძიე, გურამ მეტრეველი და სხვები. ისინი აქ მოვიდნენ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პირველი დღეებიდანვე და აქვე განაგრძობენ შრომას.

ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სიონის წყალსაცავის, ლაჯანურის, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურების, თბილისის საელექტროფიკაციო რაონული ელექტროსადგურის მშენებლობაში. ახლა კი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას ენინვალის კომპლექსის მშენებლობაზე იყენებენ.

ეს მათ მოათვინიერეს აზვირთებული არაგვი, გაუშვეს იგი ახალი კალაპოტით, ამოთხარეს ათობით მილიონი კუბური მეტრი მიწა, ჩაასხეს ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი ბეტონი, დაამონტაჟეს 300 ათას ტონაზე მეტი ტექნოლოგიური მოწყობილობა.

„დავამთავროთ ენინვალის ჰიდროკვანძის აგება, განვაგრძოთ ხუდონჰესების მშენებლობა და შევუდგეთ ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას“, — ნათქვამია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

— ყველაფერს, რაც პარტიის XXVI ყრილობამ დასახა, შევასრულებთ ვადაზე და მაღალ დონეზე, — თქვა „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ა. ციხკარიშვილმა. — ახლა ენინვალში საქმე ძალიან კარგად მიდის. გრაფიკის გასწრებით შეასრულეს რა გასული წლისა და იანვრის დავალებანი, მშენებლები არც თებერვალში აყენებენ ტემპს. ცოტათი ჩამოვრჩით ხუდონზე, ძირითადად, ცემენტის ნაკლებობის გამო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ეს დროებითი მოვლენაა.

განიერი ნალის ფორმის ციისფერი ლაქა — ასე გამოიყურება სამუშაო რუკაზე ენინვალის მომავალი „ზღვა“. წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა შეადგენს რამდენიმე ათეულ მილიონ კუბურ მეტრს. გვერდით შენდება კაშხალი. ჰიდროტექნიკური წყალსაცავი საშუალებას მოგვცემს თბილისმა მიიღოს კიდევ იმდენი სასმელი წყალი, რამდენსაც რესპუბლიკის დედაქალაქი ახლა ხარჯავს. ტექნიკური წყლიდ იქნება უზრუნველყოფილი რუსთავის საწარმოები. ხელოვნური ზღვა ხელს შეუწყობს იმას, რომ მორწყეს დუშეთის, მცხეთის, გორდაბნის რაიონების დაახლოებით 40 ათასი ჰექტარი მანამდე გვალვიანი მიწები.

წყალსაცავის შემოგარენი გადაიქცევა დასვენების ზონად. უკვე ახლა მოქმედებს ტურისტული ბაზა, პიონერთა ბანაკი. ფართო ნაესაძღვლობანი ისახება სამრეწველო თევზჭერისთვისაც. გათვალისწინებულია წყალსაცავში შეიქმნას თევზსაშენი, რომელშიც ყოველწლიურად გამოზრდიან 500.000 კობრის, თეთრი ამურის, დიდშუბლას, სხვა ძვირფასი ჯიშის თევზების ლიფსიტებს.

ენინგრთელოგის კვერგის მზადყოფნა მთელი წლის მანძილზე

მოამზადე ციგა ზაფხულში... კურორტები კი ზამთარში. იცავენ რა ამ სახუმარო ფორმულას, დიდი სახსრების გამოყენებით სეზონურ მუშაობას ეწევიან ამ დღეებში პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს მუშაკები. საკმარისია ითქვას, რომ წელს კურორტების განვითარებისათვის პროფკავშირებმა გამოყვეს თითქმეტ მილიონ მანეთზე მეტი. მაგალითად, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ახლა გასაშვებ-გასამართავი სანატორიული კომპლექს „მიუსერაში“. აქ აქვთ თავიანთი საცურაო აუზი, პოლიკლინიკის განყოფილება, სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები, დამხმარე მეურნეობა, საბავშვო ბაღი მომსახურე პერსონალისათვის. მარტო ამ კომპლექსის მშენებლობას დაახლოებით ათი მილიონი მანეთი მოხმარდა. პირველ დამსვენებლებს „მიუსერა“ ზაფხულში მიიღებს.

— მიუხედავად ამისა, მხოლოდ ზაფხულის სეზონისათვის კურორტების მომზადებაზე საუბარი არასრული იქნება, — გვითხრა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ შარაშენიძემ. — ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი გამოვეხმაურეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას მთელი წლის მანძილზე დასვენებისათვის სეზონური კურორტების გამოყენების შესახებ. ამას ხელს უწყობს რესპუბლიკის მდიდარი ბუნებრივი პირობებიც, რაც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა კლიმატურ ზონაში განლაგებული ჯანმრთელობის კერები გამოვიყენოთ წლის ყველა დროში დასვენებისათვის. ამას მოგვიწოდებს საოჯახო დასვენების შესაძლებლობათა გაფართოების შესახებ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანიც. როგორც ვიცით, მოსწავლეებს წელიწადში რამდენჯერმე აქვთ არდადეგები. გავითვალისწინეთ რა ეს, წელს გადავაკეთეთ წაღვერის დასასვენებელი სახლი „კეჩხობი“, სადაც ზამთრის არდადეგების დროს დაისვენა ორასმა კაცმა — ბავშვებმა და მშობლებმა. წყალტუბოში სანატორიუმ „მეტალურგის“ ბავშვებიანი მშობლებისათვის ყოფილი განყოფილების ბაზაზე გავხსენით დამოუკიდებელი სანატორიუმ „ელეათი“. აქ მკურნალობენ ბავშვები, რომლებსაც დაავადებული აქვთ საყრდენ-სამოძრაო აპარატი და პერიფერიული ნერვული სისტემა. დიდი მუშაობა მიმდინარეობს შავში. წლის დამდეგს აქ მწყობრში ჩადგება 200-ადგილიანი კომფორტული სოჭოახო დასასვენებელი სახლი. ხოლო მთელი კომპლექსი, რომელიც აქ შენდება, გათვალისწინებულია 500 კაცისათვის.

წელს მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირება დაიწყო ბორჯომის „პლატონ“ პანსიონატმა. ამასთან, ამიერიდან აქ არა მარტო დაისვენებს, არამედ წლის მანძილზე რამდენიმე ათასი კაცი იმკურნალებს. სურვილისამებრ პოლიკლინიკა მათ უზრუნველყოფს საკურსებით, ხოლო პანსიონატების ავტობუსები მათ მიიყვანენ პროცედურებზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 68 პროფკავშირული ჯანმრთელობის კერიდან სანატორიუმების დაახლოებით ნახევარი ათი ათას-ადგილიანზე მეტია, მთელი წლის მანძილზე დასვენების გაფართოება მოითხოვს მკურნალობის ახალი მეთოდების ფართო ათვისებას, დავასახელებ ასეთ მაგალითს: გაგრის „კავკასიონის“ სანატორიუმში ერთი წლის წინათ დაინერგა კარდიოგრამის გადაცემა ტელეფონით, ახლახან კი — ბიოთედიმეტრიის მეთოდი. იგი საშუალებას იძლევა კონტროლი დაუწესდეს ავადმყოფის მდგომარეობის სეირნობის, პროცედურების მიღების, სირბილის, ნიჩბოსნობის დროს და ა. შ. მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად. სტაციონარული აპარატურა აღრიცხავს გადამცემების ჩვენებას, რომელთა გაანალიზების შემდეგ ექიმები განსაზღვრავენ მედიკამენტებისა და ფიზიკური დატვირთვის დოზირებას.

და კიდევ ჩვენი მუშაობის ერთ სფეროში მოხდა ძვრები სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ. მხედველობაში მაქვს დამხმარე მეურნეობების განვითარება. სოფელ გეგუთის სათბურები ახალი ბოტნეულით უზრუნველყოფენ კურორტ წყალტუბოს. გაგრის დამხმარე მეურნეობა გავიდა მიჯნაზე და იგი თავისი პროდუქციით ამარაგებს არა მარტო გაგრა-ბიჭვინთის ჯანმრთელობის კერების ჯგუფს, არამედ ნამტეს ასაღებს მთელ საკურორტო ზონაშიც.

ფართოვდება აჭარის ტერიტორიული საბჭოს ციტრუსების მეურნეობა. წელს პროფკავშირთა კურორტების დამხმარე მეურნეობათა მთლიანი პროდუქცია შეადგენს 700 ათას მანეთზე მეტს. აი რა განსაზღვრავს პროფკავშირიული ჯანმრთელობის კერების მთელი წლის მანძილზე მზადყოფნას ემსახუროს ჩვენი მშრომელების ჯანმრთელობას.

● ●

რგოლში ოცდა-ექვსი ქალიშვილია

ჩოხატაურის რაიონში საუკეთესოდ არის აღიარებული ჩაის პლანტაცია, რომელსაც ოცდაექვსი ქალიშვილისაგან შემდგარი რგოლი უვლის. ამ რგოლს ხელმძღვანელობს სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ცაცია სიხარულიძე. რგოლმა შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა ციკლის სამუშაოთა პერიოდში საგულდაგულოდ მოუარა ბუჩქებს, შეიტანა საკმაო დოზით ორგანულ-მინერალური ნაერვი. ყოველ ჰექტარზე რგოლს განზრახული აქვს მოიწიოს სულ ცოტა ათი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — ერთი ტონით მეტი, ვიდრე შარშან.

30 ჰექტარზე გაშლილი ამ პლანტაციის დისახლისს სამართლიანად უწოდებენ მერგოლურ ცაცია. ამასთან, ამიერიდან აქ არა მარტო დაისვენებს, არამედ წლის მანძილზე რამდენიმე ათასი კაცი იმკურნალებს. სურვილისამებრ პოლიკლინიკა მათ უზრუნველყოფს საკურსებით, ხოლო პანსიონატების ავტობუსები მათ მიიყვანენ პროცედურებზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 68 პროფკავშირული ჯანმრთელობის კერიდან სანატორიუმების დაახლოებით ნახევარი ათი ათას-ადგილიანზე მეტია, მთელი წლის მანძილზე დასვენების გაფართოება მოითხოვს მკურნალობის ახალი მეთოდების ფართო ათვისებას, დავასახელებ ასეთ მაგალითს: გაგრის „კავკასიონის“ სანატორიუმში ერთი წლის წინათ დაინერგა კარდიოგრამის გადაცემა ტელეფონით, ახლახან კი — ბიოთედიმეტრიის მეთოდი. იგი საშუალებას იძლევა კონტროლი დაუწესდეს ავადმყოფის მდგომარეობას სეირნობის, პროცედურების მიღების, სირბილის, ნიჩბოსნობის დროს და ა. შ. მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად. სტაციონარული აპარატურა აღრიცხავს გადამცემების ჩვენებას, რომელთა გაანალიზების შემდეგ ექიმები განსაზღვრავენ მედიკამენტებისა და ფიზიკური დატვირთვის დოზირებას.

და კიდევ ჩვენი მუშაობის ერთ სფეროში მოხდა ძვრები სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ. მხედველობაში მაქვს დამხმარე მეურნეობების განვითარება. სოფელ გეგუთის სათბურები ახალი ბოტნეულით უზრუნველყოფენ კურორტ წყალტუბოს. გაგრის დამხმარე მეურნეობა გავიდა მიჯნაზე და იგი თავისი პროდუქციით ამარაგებს არა მარტო გაგრა-ბიჭვინთის ჯანმრთელობის კერების ჯგუფს, არამედ ნამტეს ასაღებს მთელ საკურორტო ზონაშიც.

ფართოვდება აჭარის ტერიტორიული საბჭოს ციტრუსების მეურნეობა. წელს პროფკავშირთა კურორტების დამხმარე მეურნეობათა მთლიანი პროდუქცია შეადგენს 700 ათას მანეთზე მეტს. აი

ენინგრთელოგის კვერგის მზადყოფნა მთელი წლის მანძილზე

ტრანსპორტეების, მშენებლების, ყველა მომჯახნაგე მოქმედების სინქრონულობა. სწორედ ამის შედეგია კალენდრის გასწრება ყველა ოპერაციაზე, როგორიც არის ტრანშეების თხრა, ტრასაზე რელსების მიწოდება, მათი შედუღება და დაწყობა.

— თუ შენდობიან, მზად ვარ ხვალვე წავიყვანო პირველი მატარებელი ახალქალაქამდე, — ღიმილით ამბობს ნ. აზმაიფარაშვილი.

● ●

დღის წესრიგშია წესრიგის განმტკიცება

დინამიკურობა — აი ალბათ ყველაზე სწორი სიტყვა იმ ცვლილებათა განსაზღვრისათვის, რომლებიც ამჟამად ხდება ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკაში, ჩემს მშობლიურ კოლექტივში.

სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნა, რომ ყოველმხრივ გავზარდოთ მასობრივი მოთხოვნის მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვება, ჩვენმა კოლექტივმა მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვა. ჩვენ სახალხო მოხმარების საქონლის საბმადების ტექნოლოგიური ჯაჭვის დასაწყისში ვიმყოფებით: ჩვენი პროდუქცია ეგზავნება რესპუბლიკისა და ქვეყნის ბევრ სამკერვალო საწარმოში. მისი ხარისხის გაუმჯობესებაში ამ ორ წელიწადში დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. მათ განაპირობებს ის, რომ სულ უფრო ნაკლები შეფერხება ხდება კომბინატის საწარმოო ორგანიზმის ცხოველმოქმედებაში. მაგრამ შეფერხებანი ჯერ კიდევ არის.

ჩვენმა კოლექტივმა დღეს როდი გამოუცხადა გადამწყვეტი ბრძოლა სამუშაოს გამცდენებს, ლოთებს, წუნისმკეთ ე ლ ებ ს. სწორედ ამიტომ „საბჭოთა საქართველოს“ კომბინატის შრომელებმა დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად დისციპლინის განმტკიცება დაასახელა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ წარმოებაში სრული წესრიგის დამყარების საქმეში წარმატების მიღწევა უცაბედ და იოლად შეუძლებელია. დაგვჭირდება ყოველდღიური გულმოდგინე შრომა, დარღვევის თითოეული ფაქტის გარშემო დაგმობის ატმოსფეროს შექმნა. ამ ძნელ საქმეს საწარმოს კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში. მათი ინიციატივით ამა თუ იმ საწარმოო ქვეგანაყოფში დისციპლინის მდგომარეობის ითვლიან ნენენენ შრომითი შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს, დარღვევის ყოველ შემთხვევას პრინციპულად განიხილავენ იმ კოლექტივში, სადაც იგი მოხდა.

პირველი შედეგები იმედს გვისახავს: სამუშაოზე დაგვიანების რიცხვი ერთისამად შემცირდა, პრაქტიკულად გამორიცხულია გაცდენები.

წინ რთული ამოცანებია: პროდუქციის გამოშვების პროგრამა დღეენიადაგ იზრდება. ამ ამოცანათა გადაწყვეტა მხოლოდ დისციპლინის განმტკიცებით არის შესაძლებელი.

ვ. ქემაშვილი,

თბილისის ქამოელ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი.

ჯილდოები — შეჯიბრებაში გამარჯვებულებს

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში

ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეებმა საქმიანად იმსჯელეს, მოიწონეს და კონკრეტული საქმეებით განამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1982-1983 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ“.

ამ დადგენილების შესაბამისად, საკავშირო პროფსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1982-1983 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებულებს უფასოდ მიეცემათ ტურისტული საგზურები.

აქედან გამომდინარე საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მეცხოველეთა დასაჯილდოებლად გამოყო 20 ათასი მანეთის საერთო ღირებულების 170 ტურისტული საგზური. აქედან საბჭოთა კავშირში მოგზაურობისათვის — 90, მათ შორის ქ. მოსკოვში 5 საგზურია გამოყოფილი, ხოლო ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში მოგზაურობისათვის — 80.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმებში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1982-1983 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

შეჯიბრება-კონკურსში გამარჯვებული მეცხვარეობის ბრიგადირებისა და მეცხვარეებისათვის, იმათთვის, ვინც ღირსეულად შეასრულა სოციალისტური ვალდებულება, წარმატებით დაამთავრა დოლი და შეინარჩუნა ნამატი, მატერიალურად წასახალისებლად გამოყოფილია 75 ათასი მანეთი, რაც შესაბამისად განაწილებულია რესპუბლიკის მეცხვარეობის 17 რაიონსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე.

შეჯიბრება-კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენა და მათი მატერიალური წახალისება 1983 წლის ივნისის ბოლოს მოხდება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას გისურვებთ, ჩვენო სახელოვანო მეცხოველეებო!

სრულვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა

სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია ბოლნისში

სკკპ XXVI ყრილობამ მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია სასურსათო და ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის შეუფერებელი უზრუნველყოფა. ამ პრობლემის რადიკალური გადაწყვეტისათვის შემუშავდა სპეციალური სასურსათო პროგრამა, რომელიც განიხილა და მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა. სასურსათო პროგრამის რეალიზაციის პრაქტიკულ გზად მიჩნეულია აგროსამრეწველო კომპლექსების ფორმირება და მათი მართვის ეფექტიანი გზებისა და მეთოდების შემუშავება. რაიონულ დონეზე აგროსამრეწველო გაერთიანებათა მართვის სრულყოფისათვის უკვე მოეწყო ექსპერიმენტები და კვლავ გრძელდება ძიებანი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს აბაშის, მახარაძის, გალის და სხვა რაიონებში.

სწორედ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მართვის სრულყოფის მეთოდოლოგიური და მეთოდიკური საკითხები განიხილეს ამ დღეებში ბოლნისში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის, დაგეგმვის და მართვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და პარტიის ბოლნისის რაიკომმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები, აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი დარგების წამყვანი სპეციალისტები, აგიტატორები, პროპაგანდისტები, მეცნიერები, აგრეთვე პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები გარდაბნის, მარნეულის და დმანისის რაიონებიდან.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანმა ბ. ალიევმა. დოცენტმა გ. ყუფუნიამ კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხს. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ბ. გელერმა გააანალიზა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გამოცდილება და საყურადღებო წინადადებები წამოაყენა მართვის შემდგომი სრულყოფის თაობაზე. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის გ. დავითაშვილის მოხსენებაში ლაპარაკი იყო სასურსათო პროგრამის იდეოლოგიური უზრუნველყოფის საქმეში დასახულ ამოცანებზე. კონფერენციის მონაწილეებს აგროსამრეწველო გაერთიანების მართვის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის პრაქტიკული რეკომენდაციები შესთავაზა დოცენტმა ა. მახარაშვილმა. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა დაჩქარდეს აბაშის რაიონის გამოცდილების შემოქმედებითი დანერგვა ბოლნისისა და სხვა რაიონებში.

რაიონების პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ბექანიშვილმა, სარაჩლოს მეკატოფილეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა რ. ბაბაევმა და სხვებმა კონფერენციაზე კონკრეტული წინადადებანი წამოაყენეს სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში შრომის დისციპლინის შემდგომი სრულყოფისთვის მუშაობის გასაძლიერებლად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა, დოცენტმა ს. მოსიძემ გააშუქა ის ამოცანები და პრობლემები, რომლთა გადაჭრა მოუწევთ რაიონის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს, რათა წარმატებით გადაწყვიტონ სამეურნეო ამოცანები.

კონფერენციაზე მიღებულ რეკომენდაციებში დასახულია კონკრეტული წინადადებანი რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფისათვის.

ი. მესხი,
დოცენტი.



ხუთფლედის საიუბილეო წელს საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომაქანის“ თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ათიათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ძირითად ასორტიმენტთან, სამრეწველო დანიშნულების ელექტროძრავებთან ერთად დიდი მოთხოვნაა ქარხნის მიერ გამოშვებული ფართო მოხმარების პროდუქციაზე — სარკმლის ვენტილატორებზე, საყოფაცხოვრებო ელექტროსალესებზე.

საქმით უპასუხებენ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, აქ მთელ საქმიანობას საფუძვლად დაუდეს დისციპლინა, ორგანიზებულობა, დაკისრებული საქმისათვის თითოეულის პასუხისმგებლობა, და გადაწყვიტეს 1983 წელს სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 80 პროცენტამდე გაზარდონ. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 60 ათასი მანეთის პროდუქცია, სამრეწველო ნაწარმის მატებას მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

სურათებზე: გრაფიკის გასწრებით მუშაობს მეგრაგნილეთა ბრიგადირი, საამქრო პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე ლამზირა დიდმელაშვილი; ხარისხისნიშნიანი სამრეწველო ელექტროძრავები.

გ. კიკავაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენი მიზანია ჭეშმარიტი ინტეგრაცია

ურილობის შემდეგ გასული ეს ორი წელიწადი ჩვენთვის, მეცნიერების დარგის მუშაკებისათვის, მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. ამ მნიშვნელობას ზრდის თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ დროის ამ მონაკვეთში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლაში.

პლენუმზე საფუძვლიანად იქნა განხილული მეცნიერებაში არსებული მიღწევებიც და ნაკლოვანებებიც, მომავლისათვის დაისახა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები. მე მინდა შევეხო ერთ საკითხს, რომელიც უაღრესად მწვავედ დადგა პლენუმზე: „მრავალი წლის მანძილზე ჩვენში მეცნიერება რამდენადმე ცალმხრივად ვითარდებოდა. მეცნიერება ერთგვარად მოწყდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკას. ასევე თეორია მოწყვეტილი აღმოჩნდა კონკრეტული სახალხო-სამეურნეო ამოცანისაგან... ჩვენ სამართლიანად მოველით მეცნიერებისაგან უფრო მაღალ უკუგებას“.

— თითოეულმა ჩვენთაგანმა იცის, რომ ეს ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სენია და მათ შორის ჩვენიც. ვთქვათ, გვაქვს ნამდვილი ინტეგრაცია? არა. დანერგვასთან დაკავშირებული საქმიანობის მთელი სიმძიმე მხოლოდ რამდენიმე ლაბორატორიას აწვება. სახელოვნურულებო თემატიკიდან სამუშაოებს იგივე ლაბორატორიები ასრულებენ. პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელმძღვანელობამ, სამეცნიერო ნაწილმა — ყველამ ერთად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ლაბორატორია ფუნდამენტურ კვლევებთან ერთად გამოყენებითი ხასიათის სამუშაოსაც ასრულებდეს.

კვლევის შესაძლებლობის გაფართოებისათვის სამეურნეო ხელშეკრულებათა გამოყენების საკითხი დაიყენა ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა პარტიის კრებაზე, რომელიც პლენუმის დამთავრების შემდეგ მოვიწვიეთ და სადაც გამოწვლილვით გავაანალიზეთ ჩვენთან არსებული მდგომარეობა, დავსახეთ მომავლისათვის სამოქმედო პროგრამა. კერძოდ, იმ კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა ერთი მხრივ ამაღლდეს მეცნიერული გამოკვლევების ეფექტიანობა და ხარისხი, ხოლო მეორე მხრივ, გაუმჯობესდეს კვლევათა შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია, უფრო სწრაფად დაინერგოს სახალხო მეურნეობაში მეცნიერული კვლევის შედეგები, ამაღლდეს მისი უკუგება. ერთი სიტყვით, მივაღწიოთ ნამდვილ ინტეგრაციას.

იმ კრების შემდეგ ჩვენ მიერ განხორციელებულ მუშაობაზე თუნდაც მარტო ის გარდამავალი წოთელი დროშა მიტყუველებს, რომელიც რესპუბლიკაში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთვის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გადმოგვეცა. აი, მოკლედ იმის თაობაზეც, რისთვისაც ეს ჯილდო გვერგო.

მეცნარეთა მავნებლებთან საბრძოლველად თუ სხვა დაავადებათა სამკურნალოდ ინსტიტუტთაშორისო საბჭოს მუშაობას ბუნებრივი ცეოლითების შესწავლისა და ზათი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გამოყენების მიზნით.

სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და საწარმოო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის ნაყოფიერი შედეგის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სპილენძის ფხვნილის ავტოკლავურ-ჰიდრომეტალურგიული წარმოება. ამ საკითხის შესწავლამ იმდენად ფართო მასშტაბებს მიაღწია, რომ მისი კომპლექსური გადაჭრისათვის საჭირო სამუშაოებს პარალელურად აწარმოებდნენ არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, ნიკელის მრეწველობის საწარმოთა ლენინგრადის სახელმწიფო საპროექტო-კვლევითი ინსტიტუტი, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. აღნიშნულმა სამუშაომ, როგორც ცნობილია, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ერთი სიტყვით, პრაქტიკული ღირებულების მქონე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების დანერგვის წყალობით შარშან ჩვენმა ინსტიტუტმა დახარჯულ მანეთზე საშუალოდ 2 მანეთი და 10 კაპიკი უკუგება მიიღო.

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს მიღწევებზე, მაინც უნდა ვალიარო, რომ ყოველივე ამაზე არ გადის ჩვენი შესაძლებლობის ზღვარი. მეცნიერებისა და წარმოების კონტაქტების შესაძლებლობები ძალიან ვრცელია და ჩვენი უპირველესი ვალი სწორედ ამ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებაა. რეზერვები კი ძალიან ბევრია. აი, თუნდაც დისციპლინა. მისი ფართო გგგებით ამ ცნებაში მე მარტო სამსახურში მოსვლა-წასვლის სკრუპულოზური აღრიცხვას არ ვგულისხმობ. მთავარია დისციპლინა ყველგან და ყველაფერში. მაგალითად, დღეს სამეურნეო ტექნიკური პროგრესის ტემპი ძალიან მაღალია. სამეურნეო თემატიკის დაგეგმვისას კი ამას არ ითვალისწინებენ. სამუშაოები მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში არ ხორციელდება. ჩანს, რომ მოისუსტებს კვლევითი სამუშაოების საგეგმო დისციპლინა. ეს დისციპლინა თუ სათანადო დონეზე დადგება, ე. ი. მაქსიმალურად დაიხვეწება სამეცნიერო თემატიკის დაგეგმვა ისე, რომ მასში სრულად აისახოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპი, ერთიორად გაიზრდება კვლევის უკუგება. ამიტომ ყოველმხრივ ვცდილობთ დავამყაროთ კოლექტივში დისციპლინა ამგვარი ფართო გგგებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ მოვიწვიეთ ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის სიერთო კრება, სადაც ეს საკითხი განვიხილეთ. შეექმენით შრომითი დისციპლინის განმტკიცების კომისია, რომელიც რეგულარულად ამოწმებს, ვინ როგორ იცავს შრომის დისციპლინას, კერძოდ, ვინ რა მოცულობის სამუშაოს ასრულებს ყოველდღიურად. თვეში ორჯერ პარტიული ბიუროს სხდომაზე ვიხილავთ მოკლეულ მასალებს. მუშაობის ამგვარ პრინციპზე ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ.

წესრიგია საჭირო აგრეთვე იმ უკუგების სწორად და ობიექტურად გამთანგარიშებაში, რომელსაც ჩვენი კვლევის შედეგების სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დანერგვით ვიღებთ. საქართ

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკვლევი იუწყება

გაზეთი და მკითხველი

ის, რაც გვაღელვებს

1982 წლის 20 იანვარს „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მწერალ რ. ბეჟანიშვილის ვრცელი, წერილი პროფტექნიკური სასწავლებლების პრობლემებსა და პერსპექტივებს რომ ეხება, მუშათა კლასის ხვალინდელ დღეზე ფიქრით არის განმსჭვალული.

ავტორი და გაზეთი მართალნი არიან: სავსებით დროულია მოთხოვნა, რომ საქართველოში შეიქმნას სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი ან თავდაპირველად ფაკულტეტი მაინც, რომელიც პროფესიული სასწავლებლებისათვის საინჟინრო-პედაგოგიურ კადრებს მოამზადებს. უდავოდ ანგარიშგასაწევია ის მოსაზრებაც, რომ საწარმოებში, მშენებლობებსა და საზოგადოებრივ შეურნეობებში გაიხსნას პროფტექნიკურ სასწავლებელთა ფილიალები, ახალ მოთხოვნათა შესაბამისად გარდაიქმნას მოსწავლეთა აღზრდა და მომზადება, გაუმჯობესდეს სასწავლებელდამთავრებულთა შრომისა და ცხოვრების პირობები, საგანგებო მსჯელობის საგანი გახდეს თითოეული ახალგაზრდა მუშის საწარმოდან წასვლის ფაქტი და ასე შემდეგ.

აჭარაში ამ ბოლო დრომდე მხოლოდ ერთი პროფტექნიკური სასწავლებელი იყო, რომელიც ცხადია, სრულებით ვერ აუდიოდა მუშათა კლასის კვალიფიციური კადრებით შევსების საქმეს. ახლა რამდენიმე პროფტექნიკური და სპეციალური სასწავლებელია და საქმეც სწორდება, მაგრამ

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რამ სათქმელ-საფიქრალი მაინც გვაქვს. რატომღაც სასწავლებლებში გათვალისწინებული არ არის მოცემული რეგიონის სპეციფიკა, სახალხო მეურნეობის დამახასიათებელი დარგები, რის გამოც ბევრი საჭირო პროფესიის მუშები არ მზადდება. ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორმა ელგუჯა გოგავამ გვითხრა, რომ მათი, ბათუმის პირველი პროფტექნიკური სასწავლებელი არ ამზადებს მეყალიბეებს, ელექტრიკოსებს, შემდუღებლებს, მეიარაღეებს, ლითონის დასამუშავებელი დაზგების შემკეთებლებს... ახლო მომავალში კი ეს ქარხანა გაიღებით მეტ მანქანა-მოწყობილობასა და დანადგარებს მიაწვდის ჩაის, ხილის, ყურძნისა და სხვათა გადამმუშავებელ მრეწველობას, ვიდრე ახლა.

აჭარის პროფტექნიკურ სასწავლებლებში მუშებს საგანგებოდ არც ჩაისა და საკონსერვო მრეწველობისათვის, რკინიგზის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის ამზადებენ. არადა, სწორედ ეს დარგები სულ უფრო ვითარდება. აღბათ, დროა, პროფტექნიკური სასწავლებელი გაიხსნას ქობულეთში, ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების ბაზაზე.

ყურადსაღებია ისიც, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც მოამზადებდა კვალიფიციურ მუშებს ამა თუ იმ მანქანების, დანადგარების, ხელსაწყოების შესაკეთებლად და დასამონტაჟებლად. სასურველია ასეთი სასწავლებელი გაიხსნას დაბა ოჩხამურში ან ჩაქვში. აჭარის ხვედრითი წილი ციტრუსების, ჩაის, თამბაქოს, მეცხოველეობის პროდუქტებისა და სხვათა წარმოება-დამზადებაში ხომ სულ უფრო იზრდება!

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვს. ახლახან აჭარის რადიოთი გადასაცემად მომზადდა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორის ვაჟა მეგანეიშვილის საუბარი „მუშა სიამედო ცვლას ელოდება“. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ ძალიან ჭირს პროფტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტება რვაკლასდამთავრებული მოსწავლეებით. სასწავლებლებში არ არის გოგონების შესაფერისი პროფესიები. კარგი იქნება, თუ სპეციალურად გოგონებისათვის ბათუმში გაიხსნება სასწავლებელი, რომელსაც ქართულ-რუსული სექტორი ექნება.

ჩვენი მზარდი სახალხო მეურნეობა, სახელოვანი მუშათა კლასი ახალ, საიმედო ცვლას ელოდება. ამაზე უნდა ვიფიქროთ ყველამ, კონკრეტული ღონისძიებანიც გავუბოროცეელოთ და, ასე, იმედია, საწადელსაც მივაღწევთ.

ი. ბეჭირიშვილი.

აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის უფროსი რედაქტორი.

● ავსტრია

ვენის მოლაპარაკებაზე

ვენა. ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგ პლენარულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ვენის ჰოფბურგის სასახლეში, გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. ვ. მიხაილოვი. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა პრაღის პოლიტიკურ დეკლარაციაში წამოყენებული ინიციატივების განვითარებისათვის საბჭოთა დელეგაციამ, როგორც ჟურნალისტებს აცნობეს, ვენის მოლაპარაკების უშუალო მონაწილე სოციალისტური ქვეყნების სახელით შეიტანა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანი ის არის, რომ უკვე უახლოეს მომავალში პრაქტიკული დასაბამი მიეცეს ცენტრალურ ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებას.

საბჭოთა წარმომადგენელმა მოუწოდა დასავლეთის დელეგაციებს გამოავლინონ თანაშრომლობის სურვილი და საქმით შეუწყონ ხელი პოზიტიური შედეგების მიღწევას ვენაში.

21 თებერვალი

მრუდე სარკეში

პრესა აძლესტურებს

სოფია. მიზნები, რომლებსაც ისახავენ რომის პაპ იოანე პავლე მეორეზე თავდასხმასთან დაკავშირებით ბულგარეთისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანიის ორგანიზატორები, მრავალპლანიანია, წერს ბულგარეთის „ნაროდნა არმია“. გაზეთი იხსენებს, რომ ბულგარელი მოქალაქის ს. ანტონოვის დაპატიმრების შემდეგ იტალიის თავდაცვის მინისტრი ლ. ლაგორიო (ამას თვით იტალიის პრესა იუწყებოდა) ცდილობდა დაერწმუნებინა, იტალიის პარლამენტის დეპუტატები, თითქოს ბულგარელები გარეული იყენენ პაპზე თავდასხმაში. ამ ცილისწამების ოკეანესგაღმელი სულისჩამდგმელები მაშინვე დაეთანხმნენ იტალიელი მინისტრის უსაფუძვლო მტკიცებას. ეს გასაგებიცაა: მძაფრი ანტისოციალისტური კამპანიის მრუდე სარკეში რეალური სოციალიზმის ქვეყნის მოქალაქე უნდა წარმოედგინათ როგორც ტერორისტი, რომელიც თავისუფალ სამყაროს ემუქრება.

რაც მთავარია, განაგრძობს გაზეთი, მათ სურდათ ზემოქმედება მოეხდინათ მსოფლიოში მილიონობით კათოლიკეთა გრძნობებზე, გამოეწვიათ მათი გულისწყრომა კომუნისტებისადმი, კაპიტალისტური სამყაროს მშრომელთა ყურადღება ჩამოეშორებინათ უმუშევრობის, ინფლაციის და სხვა მწვავე პრობლემებისაგან.

ეს შეთქმულება მთლიანად ესადაგება ყველაზე რეაქციული იმპერიალისტური წრეების გლობალური სტრატეგიის სულისკვეთებას და მათს პოლიტიკას, რომელიც სოციალისტური ქვეყნების, დაძაბულობის შენელებისათვის ხალხთა ძალისხმევის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის კურსის წინააღმდეგ არის მიმართული, ნათქვამია გაზეთის კომენტარში.

● დანია

სავაჭრო „სანქციების“ წინააღმდეგ

კოპენჰაგენი. დანიის ფოლკეტინგის (პარლამენტის) ბაზრების საკითხთა კომისიამ გაილაშქრა სსრ კავშირის მიმართ დანიის სავაჭრო „სანქციების“ გაგრძელების წინააღმდეგ, რომლებიც შარშან დაწესდა.

როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ამ ღონისძიების გაუქმება, რომელიც შეერთებული შტატების ზემოქმედებით შემოიღეს „საერთო ბაზრის“ ფარგლებში, მოითხოვეს დეპუტატებმა დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, რადიკალური მემარცხენე პარტიისა და პროგრესის პარტიისაგან.

● აშშ

საშიში დოქტრინა

ვაშინგტონი. თუ შეერთებული შტატები მართლაც დაინტერესებულია გამალებული შეიარაღების შეზღუდვით, ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაციით, მან ხელი უნდა აიღოს თავის ახლანდელ სტრატეგიაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ის დებულება, რომ პირველმა იხმაროს ბირთვული იარაღი. ასეთი იყო ლაიტმოტივი, გამოსვლებისა აქ მიმდინარე სპეციალურ კონფერენციაზე, რომელიც მოეწყო ახალი საგარეო და სამხედრო პოლიტიკისათვის მებრძოლი კოალიციის ინიციატივით.

დოქტრინა, რომლითაც ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს, უაღრესად საშიშია, ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის თავმჯდომარემ ფ. ჰიპელმა, საშიშია იმით, რომ მრავალჯერ ზრდის ომის წარმოშობის რისკს.

კონფერენციაზე გავრცელებულ განცხადებაში კოალიციის ხელმძღვანელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეერთებულმა შტატებმა უპირობოდ უნდა იკისროს ვალდებულება — პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი. ეს ვალდებულება, ნათქვამია განცხადებაში, უნდა განმტკიცდეს კონკრეტული საქმეებით — უარი თქვას პირველი დარტყმის იარაღის შემდგომ წარმოებაზე, გამოცდასა და განლაგებაზე.

ტერორიზმის აქტი

ვაშინგტონი. „ეროფლოტის“ წარმომადგენლობის ზენობის შესახებ ელჩთან აფეთქეს ბომბი. მიყენებულია მნიშვნელოვანი ზარალი. არავინ არ დაშავებულა.

სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩომ სახელმწიფო დეპარტამენტს მოსთხოვა დაუყოვნებლივ განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებების უშიშროების უზრუნველსაყოფად.

სპერთაშორისო კომენტარი

გენოციდის კურსით

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ტ. ენდერსმა ეურნალ „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რეპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე მოლაპარაკებაზე სალვადორის რეჟიმსა და აჯანყებულებს შორის. ამით მან დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სალვადორში პოლიტიკური მოწესრიგების წინააღმდეგია, კვლავ ამყარებს იმედს კონფლიქტის სამხედრო „გადაწყვეტაზე“ აჯანყებულების, ანგარეთ მშვიდობიანი მოსახლეობის ფიზიკური მოსპობის გზით.

ასეთ აღიარებას ხშირად ვერ მოისმენთ ამერიკის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებისაგან. ისინი ამჯობინებენ თქვან ერთი, ხოლო გააკეთონ მეორე. პრეზიდენტი რ. რეიგანიც, რომელმაც მოიარა ცენტრალური ამერიკის ქვეყნები გასული წლის დამლევს, მუდმივი წარმომადგენელი კირპატრიკიც, რომელმაც ესეს არის იმოგზაურა ამ ქვეყნებში, მაღალფარდოვნად ლაპარაკობდნენ „მშვიდობაზე“, „თანამშრომლობასა და „პროგრესზე“. ამ დროს კი სალვადორელი დამსჯელები, ამერიკელ დამრიგებლების დახმარებით და პირადი მონაწილეობით წვავდნენ სოფლებს და ხოცავდნენ მათს მცხოვრებლებს. გვატემალელი ავიაკენი იჭრებოდნენ მექსიკის მიწა-წყალზე, ხოლო ჰონდურასში შეფარებული სომოსელები აწყობდნენ პროვოკაციებს ნიკარაგუის სახელმწიფოს რაიონებში. გარდა ამისა კირპატრიკის მოგზაურობა მიმდინარეობდა უშუალოდ ნიკარაგუის მახლობლად მოწყობილი ცენტრალური ამერიკისათვის თავისი მასშტაბით უპრეცედენტო ამერიკა-ჰონდურასის ერთობლივი სამხედრო მანევრების ფონზე, ნიკარაგუისა, რომელსაც ვაშინგტონი ხელაღებით „ექსპანსიონიზმს“ აბრალებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს გაგონებაც არ უნდა სალვადორში, ისევე როგორც მთლიანად რეგიონში, პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ. გამყოფველი დიქტატორული რეჟიმის, ძალადობის, შეიარაღებული ავანტიურების გამოყენება —ასეთი გზით აპირებს ვაშინგტონი „გადაწყვეტოს“ ცენტრალური ამერიკის პრობლემები სალვადორიდან გადმოცემულ რეპორტაჟში კოსტა-რიკის გაზეთის „ნასიონის“ კორესპონდენტმა მოსწერებოდა გაავლო პარალელი რამდენიმე წლის წინათ ნიკარაგუაში არსებულ მოვლენებსა და სალვადორის დღევანდელ ამბებს შორის. სალვადორის ქალაქი ბედლინი ამ დღეებში პრაქტიკულად აღგავეს პირისაგან მიწისა, ნიკარაგუის ქალაქებმა ლეონმა, ესტელმა, მატაგალპამ საზარელი ნგრევა განიცადეს სომოსელთა ტეროორის დროს. იქაც და აქაც ფეთქდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში დამზადებული ბომბები, იქაც და აქაც ხოცავ-ყლეტას ვაშინგტონი დირიჟორობდა

ის, რასაც შეერთებული შტატები და მათი მარიონეტები ახლა ცენტრალურ ამერიკაში სჩადიან, ეხმიანება ვაშინგტონის მიერ ინსპირირებულ ისრაელის მხედრიონის დანაშაულს ლიბანში, ამერიკელი ჯარისკაცების თარეშს ვიეტნამში. ამას გენოციდი ქვია.

„თავისუფალ სამყაროში“

XX საუკუნის მონები

ანუ იმიგრანტთა ხვედრი ამერიკაში

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც ბურჟუაზიული პროპაგანდა „თავისუფლების ბურჯს“ უწოდებს, ფართოდაა გავრცელებული იძულებითი შრომა, ხოლო მილიონობით ადამიანი მონათა მდგომარეობაშია. ამას მოწმობენ ფაქტები, რომლებიც ხანდახან ჩნდება ამერიკის პრესის ფურცლებზე.

უწინარეს ყოვლისა „მე-20 საუკუნის მონების“ მდგომარეობაში არიან განვითარებადი სახელმწიფოებიდან ენით გამოუთქმელი გაჭირვების გამო გადმოხვეწილი მკვიდრნი, რომლებიც ხვდებიან თანამედროვე „ცოცხალი საქონლით“ მოვაჭრეთა მიერ ოსტატურად დაგებულ ქსელში. „თანაბარ შესაძლებლობათა ქვეყანაში“ „სამოთხის ცხოვრების“ ყალბი დაპირებებით მათ კაბალაში იტყუებენ ამერიკელი მეწარმენი, რომლებიც ურცხვად ისქელებენ ჯიბეს მათი შრომის უმოწყალო ექსპლოატაციით. უფრო ხშირად ამერიკის შეერთებულ შტატებში არალეგალურად ჩამოსული იმიგრანტები ხვდებიან შეერთებული შტატების პლანტაციებში. ამ ბედკულთა შრომისა და ცხოვრების არაადამიანური პირობების შესახებ წერს ჟურნალი „პერეიდი“, რომლის კორესპონდენტმა მოკამაგირის სახით შეაღწია ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ერთ-ერთ ფერმაში, სადაც მონურ შრომას იყენებენ.

მისი თქმით, პლანტაციაში მოხვედრილი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ჩამოსული სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომელთა შორის ხშირად არიან მოზარდები, პლანტაციებში ქინაის გაცლამდე მუშაობენ მცხუნვარე მზის ქვეშ. მათ აცხოვრებენ ტარაკნებით სავსე აყროლებულ ქოხმახებში და აჭმევენ ისეთ „საკვებს“, რომელსაც ძაღლიც არ გაეკარება. ურჩობა და გაქცევის ცდები ისჯება სასტიკი ცემა-ტყეპით, რაც ხშირად მოჯამაგირეთა სიკვდილს იწვევს.

ამერიკის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ — მუშათა დაცვის ლიგამ გამოარკვია ნამდვილი მხეცობის ფაქტები. მაგალითად, ლუიზიანის შტატში ერთ-ერთი ფერმის მფლობელს მექსიკური წარმოშობის ამერიკელები, რომლებიც მისთვის ქინაის გაწყვეტამდე მუშაობენ, თავის საკუთრებად მიიჩნია და ღამით ჯაჭვით აბამს მათ.

და ეს ერთეული შემთხვევები როდია. როგორც პრესა მოწმობს, პრაქტიკულად შეუძლებელია იპოვო ამერიკის შტატი, სადაც იძულებითი შრომა არ იყოს. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს განსახილველად ყოველ თვეში მოდის ათობით ცნობა უკანონო ექსპლოატაციის შესახებ, რომლებსაც დაუფარავად ეწოდება „მონობის საქმეები“.

ეს ჰაიტელი, რომელიც დიუვალიეს დიქტატორული რეჟიმისაგან თავის დაღწევას ლამობდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში აპირებდა თავის შეფარებას, დაატყვევეს. მას „ბედმა“ არ გაუღიმა, რომ მონობის ერთი უღელი მეორეთი შეეცვალა, ოღონდ უფრო მდიდარ ქვეყანაში.

საკადესის ფოტო.

სისხლიანი დღე

სან-ფრანცისკო. ქალაქ სიეტლში (ვაშინგტონის შტატი) 18 კაცი მოკლეს ერთ-ერთ სახლზე შეიარაღებულ მძარცველთა თავდასხმის დროს. პოლიციის წარმომადგენელმა უარი თქვა განემარტა ამ დანაშაულის მოტივები, რომელიც მასობრივ დახვრეტას უფრო ჰგავს, ვიდრე მძარცველურ აქტს. მოკლულთა შორის ბევრი მოხუცია.

იმავე დღეს სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი რაიონში, სადაც მეტწილად ლათინური ამერიკიდან ჩამოსულნი ცხოვრობენ, ქუჩაში ატეხილი სროლის დროს დაიღუპა 18 წლის ქალიშვილი. ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს მომხდარი ფაქტი „ორ ბანდას შორის დავით“ ახსნას.

ერთი სისხლიანი დღის ამბები ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე, როგორც პრესა აღნიშნავს, არა მარტო ქვეყანაში დაშავებიმის მაღალი დონის, არამედ ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების შედეგიც არის.

● ავსტრია

ვენის მოლაპარაკებაზე

ვენა. ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგ პლენარულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ვენის ჰოფბურგის სასახლეში, გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. ვ. მიხაილოვი. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა პრაღის პოლიტიკურ დეკლარაციაში წამოყენებული ინიციატივების განვითარებისათვის საბჭოთა დელეგაციამ, როგორც ჟურნალისტებს აცნობეს, ვენის მოლაპარაკების უშუალო მონაწილე სოციალისტური ქვეყნების სახელით შეიტანა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანი ის არის, რომ უკვე უახლოეს მომავალში პრაქტიკული დასაბამი მიეცეს ცენტრალურ ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებას.

საბჭოთა წარმომადგენელმა მოუწოდა დასავლეთის დელეგაციებს გამოავლინონ თანაშრომლობის სურვილი და საქმით შეუწყონ ხელი პოზიტიური შედეგების მიღწევას ვენაში.

შრომა და კაპიტალი

მოითხოვენ სამუშაო ადგილებს

დანიის ბევრ ქალაქში ძლიერდება მშრომელთა გამოსვლები მთავრობის „მკაცრი ეკონომიის“ პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ადგილების შემდგომ შემცირებას, ხელფასის გაყინვას და სოციალური საჭიროებისათვის ასიგნებათა შეკვეცას. ერთდროულად ათიათასობით მუშამ და მოსამსახურემ ქვეყნის ყველა რაიონში მოაწყო გაფიცვები. ისინი მოითხოვდნენ დასაქმების უზრუნველყოფას.

ოფიციალური მონაცემებით, 1982 წლის ბოლოს დანიაში უმუშევართა რიცხვმა რეკორდულ დონეს მიაღწია და 322 ათასი შეადგინა.

სურათზე: დემონსტრანტთა კოლონები კოპენჰაგენში.

საკადესის ფოტო.

● გფრ

„საერთაშორისო ტრიბუნალის“ სხდომა

ნიურნბერგი. ცხადყოს უდიდესი საფრთხე, რომელსაც კაცობრობას უქადის გამალებული რაკეტულ-ბირთვული შეიარაღება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკული „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების გეგმები, ამერიკული ქიმიური იარაღის ახალი მარაგის დაგროვება — ასეთია ამოცანა „საერთაშორისო ტრიბუნალისა“, რომლის სხდომები ნიურნბერგში მიმდინარეობს. იგი მოეწყო „მწვანეთა“ პარტიის ინიციატივით, რომელიც ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გადაიქცეს საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის სასტარტო მოედნად. „ტრიბუნალის“ მონაწილენი არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, საერთაშორისო სამართლის, მედიცინის, ბიოლოგიის, ფიზიკის დარგის სპეციალისტები, კულტურის მოღვაწენი.

აქ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტები შეტევითი სახეობათა შეიარაღებაა, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ბირთვული დარტყმისათვის. დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ნატოს გეგმები ითვალისწინებს ომის შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის გადაქცევას როგორც ჩვეულებრივი, ისე ბირთვული და ქიმიური იარაღის გამოყენებით „სომბრი მოქმედების ზონად“.

ტრიბუნალის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ როდინ ცინიკურად რ. რეიგანის ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელის გამონათქვამები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „შეიძლება შეზღუდული ბირთვული ომის წარმოება და მასში გამარჯვების მოპოვება“, უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ თეთრმა სახლმა თავიც კი არ შეიწუხა ოფიციალური წარმომადგენელი გაეგზავნა ნიურნბერგში, მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს აზრთა გაზიარება ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესაძლებლობათა შესახებ.

ფორუმის მონაწილენი აკრიტიკებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც უშუალოდ უწყობს ხელს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს მილიტარისტული მზადების ზრდას. ეს ძირეულად ეწინააღმდეგება დასავლეთგერმანელი მოსახლეობის უშიშროების ინტერესებს.

ამასთან განსაბილველად წარმოდგენილ ზოგიერთ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია თეზისი „ორი ზესახელმწიფოს“ შესახებ, რომლებიც თითქოს „თანაბრად“ აგებენ პასუხს გამალებული რაკეტულ-ბირთვული შეიარაღებისა და საერთაშორისო ვითარების გამწვავებისათვის.

ამგვარ მტკიცებებს საკადრისი პასუხი გასცა გერმანელთა კომპარტიამ. დიდ წერილში, რომელიც ტრიბუნალის მონაწილეებს გაუგზავნა გერმანელთა კომპარტიის ჩრდილოეთ ბავარიის საოლქო ორგანიზაციამ, გამოთქმულია იმედი, რომ ნიურნბერგის ფორუმი ხელს შეუწყობს იმას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობამ გაიგოს ნატოს სამხედრო მზადების ნამდვილი მიზნები და მიზეზები. სწორედ საბჭოთა კავშირი გახდა პირველი სახელმწიფო, ხაზგასმით აღნიშნავენ კომუნისტები, რომელმაც საჯაროდ იკისრა ვალდებულება — პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი. გერმანელთა კომპარტია აღნიშნავს სსრ კავშირის მთელ რიგ კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების ალაგმვა, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა. რაც შეეხება ვაშინგტონს, აცხადებს გერმანელთა კომპარტია, სწორედ იგი ახორციელებს კონფრონტაციისა და ბირთვული შეიარაღების კურსს. იმას, ვინც ერთ სიბრტყეზე აყენებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, სურს ეს თუ არა, შეცდომაში შეჰყავს საზოგადოებრივი აზრი.

● გფრ

„საერთაშორისო ტრიბუნალის“ სხდომა

ნიურნბერგი. ცხადყოს უდიდესი საფრთხე, რომელსაც კაცობრობას უქადის გამალებული რაკეტულ-ბირთვული შეიარაღება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკული „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების გეგმები, ამერიკული ქიმიური იარაღის ახალი მარაგის დაგროვება — ასეთია ამოცანა „საერთაშორისო ტრიბუნალისა“, რომლის სხდომები ნიურნბერგში მიმდინარეობს. იგი მოეწყო „მწვანეთა“ პარტიის ინიციატივით, რომელიც ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გადაიქცეს საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის სასტარტო მოედნად. „ტრიბუნალის“ მონაწილენი არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, საერთაშორისო სამართლის, მედიცინის, ბიოლოგიის, ფიზიკის დარგის სპეციალისტები, კულტურის მოღვაწენი.

აქ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტები შეტევითი სახეობათა შეიარაღებაა, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ბირთვული დარტყმისათვის. დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ნატოს გეგმები ითვალისწინებს ომის შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის გადაქცევას როგორც ჩვეულებრივი, ისე ბირთვული და ქიმიური იარაღის გამოყენებით „სომბრი მოქმედების ზონად“.

ტრიბუნალის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ როდინ ცინიკურად

„თავისუფალ სამყაროში“

XX საუკუნის მონები

ანუ იმიგრანტთა ხვედრი ამერიკაში

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც ბურჟუაზიული პროპაგანდა „თავისუფლების ბურჯს“ უწოდებს, ფართოდაა გავრცელებული იძულებითი შრომა, ხოლო მილიონობით ადამიანი მონათა მდგომარეობაშია. ამას მოწმობენ ფაქტები, რომლებიც ხანდახან ჩნდება ამერიკის პრესის ფურცლებზე.

უწინარეს ყოვლისა „მე-20 საუკუნის მონების“ მდგომარეობაში არიან განვითარებადი სახელმწიფოებიდან ენით გამოუთქმელი გაჭირვების გამო გადმოხვეწილი მკვიდრნი, რომლებიც ხვდებიან თანამედროვე „ცოცხალი საქონლით“ მოვაჭრეთა მიერ ოსტატურად დაგებულ ქსელში. „თანაბარ შესაძლებლობათა ქვეყანაში“ „სამოთხის ცხოვრების“ ყალბი დაპირებებით მათ კაბალაში იტყუებენ ამერიკელი მეწარმენი, რომლებიც ურცხვად ისქელებენ ჯიბეს მათი შრომის უმოწყალო ექსპლოატაციით. უფრო ხშირად ამერიკის შეერთებულ შტატებში არალეგალურად ჩამოსული იმიგრანტები ხვდებიან შეერთებული შტატების პლანტაციებში. ამ ბედკულთა შრომისა და ცხოვრების არაადამიანური პირობების შესახებ წერს ჟურნალი „პერეიდი“, რომლის კორესპონდენტმა მოკამაგირის სახით შეაღწია ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ერთ-ერთ ფერმაში, სადაც მონურ შრომას იყენებენ.

მისი თქმით, პლანტაციაში მოხვედრილი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ჩამოსული სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომელთა შორის ხშირად არიან მოზარდები, პლანტაციებში ქინაის გაცლამდე მუშაობენ მცხუნვარე მზის ქვეშ. მათ აცხოვრებენ ტარაკნებით სავსე აყროლებულ

ეს ჰაიტელი, რომელიც დიუვალიეს დიქტატორული რეჟიმისაგან თავის დაღწევას ლამობდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში აპირებდა თავის შეფარებას, დაატყვევეს. მას „ბედმა“ არ გაუღიმა, რომ მონობის ერთი უღელი მეორეთი შეეცვალა, ოღონდ უფრო მდიდარ ქვეყანაში.

საკადესის ფოტო.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ შეპასუხებს

საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომი

ჩვენი გაზეთის 1982 წლის 28 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტის მ. გორგილაძის კორესპონდენცია „რატომ ვტკენენ გულს“, რომელშიც ასახული იყო ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ხულოს ფილიალის მუშათა არადამაკმაყოფილებელი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ტუნაძემ რედაქციას აცნობა:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. გაზეთში გამოქვეყნებულ კორესპონდენციასთან დაკავშირებით პარტიის რაიკომის ბიურომ იმსჯელა წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ და მათი გამოსწორებისათვის დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ფილიალის მუშათა, საყოფაცხოვრებო, კულტურული მომსახურების და სასადილოს მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებებისათვის ფილიალის დირექტორს დ. ბოლქვაძეს და გაერთიანება „საზკვების“ დირექტორს გ. აბაშიძეს გამოეცხადათ საყვედური, მათვე დაევალათ უზრუნველყონ სასადილოს დარბაზის რეკონსტრუქცია და მისი გამართული მუშაობა.

დადგენილებით ქ. ბათუმის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანების დირექციას ეთხოვა ფილიალი შეუფერხებლად მოამარაგოს სათადარიგო ნაწილებით, ნედლეულით, დანადგარებით, უზრუნველყოს ლიფტების დამონტაჟება და გაუმართავი კონვეიერების ამოქმედება.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი ხულოში 48-ბინიანი მუშათა საცხოვრებელი სახლის შშენებლობის დაწყებასა და ფილიალის შენობაში დარჩენილი სამუშაოების დროულად დამთავრების თაობაზე.

ფერილი რედაქციას

ამ ფერილით გვინდა დავაყენოთ ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც მარტო სოფლის მეურნეობის მუშაკებს კი არა, თითოეულ ქართველს კარგა ხანია აინტერესებს. მხედველობაში მაქვს მარცვლეულის ძვირფასა კულტურა — ღომი, რომელიც თითქმის გაჭრა. მარცვლეულის წარმოების გადიდებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო. ღომი კი, როგორც ვიცით, სასარგებლო მარცვლეულია.

ჩვენ წინაპრებს მრავალსაუკუნოვანი შრომის შედეგად, ბევრი უნიკალურიანი და მეტად სასარგებლო მცენარეები შეუქმნიათ. მათ შორისაა მნიშვნელოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ ამჟამად დაკარგული, დავიწყებული ღომის კულტურა. იგი ერთ დროს ფართოდ იყო გავრცელებული, ჩვენი შორომელების ერთ-ერთ მარჩენალ კულტურად

ვაგან მამასახლისოვის დაბადების 75 წლისთავის გამო

გზად და ხიდად

ვაგან მამასახლისოვის სახელი მუდამ მოწიწებით მოიხსენიება იმ მეცნიერებთან ერთად, რომლებმაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამაგი დასდეს საქართველოში ფიზიკის განვითარებასა და ფიზიკოსთა კადრების აღზრდას. ოცდაათიან წლებში ახალგაზრდა სპეციალისტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ლენინგრადში გაიღრმავა ცოდნა. იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობას თბილისის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრაზე შეუდგა. ერთი წლის შემდეგ ვ. მამასახლისოვს ირჩევენ ამავე კათედრის გამგედ. კათედრას იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

პროფესორმა ვ. მამასახლისოვმა გამოზარდა ოცზე მეტი ასპირანტი, რომლებმაც სამეცნიერო ხარისხი ატომბირთვის თეორიის მნიშვნელოვან საკითხებზე დაიცვეს და აქტიურად თვითონ ხელმძღვანელობენ ფიზიკის სხვადასხვა დარგს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ცნობილ მეცნიერს ეკუთვნის სახელმძღვანელები თეორიულ ფიზიკაში, რომლებიც თავის მოწაფეებთან თანაავტორობით შეადგინა.

ვ. მამასახლისოვს 70-მდე სამეცნიერო შრომა აქვს გამოქვეყნებული სსრ კავშირისა და უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში. მისი შრომების მთავარი ნაწილი შეეხო ატომბირთვის თეორიის საკითხებს. ატომბირთვის ფიზიკა, როგორც მეცნიერება, ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. ვ. მამასახლისოვის პირველი შრომა სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება. მან შეისწავლა ორნუკლონიანი სისტემის— დეიტრონის თვისებები. ცნობილია, რომ დეიტრონი შედგება ნეიტრონისა და პროტონისაგან. მეცნიერის შრომაში შესწავლილია ნეიტრონისა და პროტონის ურთიერთმოქმედების ხასიათი. უთუოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 1936 წელს ვ. მამასახლისოვმა პირველმა შენიშნა ატომბირთვული ძალების ერთი, მეტად მნიშვნელოვანი თვისება. ახლო მანძილზე ნეიტრონი და პროტონი არა მარტო მიიზიდავენ, რაღაც მანძილზე განზიდავენ კიდეც ერთმანეთს. მეცნიერებმა მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ დაასაბუთეს ურთიერთმოქმედების ეს თვისება და დღეს იგი საყოველთაოდ აღიარებულია.

ფიზიკაში დამუშავებული მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ნეიტრონ-პროტონების დიდი რაოდენობით შემცველი სისტემებისათვის. ასეთ ბირთვებს ძძიმე ბირთვებს უწოდებენ. რაც შეეხება ბირთვებს, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე ნეიტრონ-პროტონს შეიცავენ (ეგრეთ წოდებული მსუბუქი ბირთვები), აქ მდგომარეობა მეტად რთულია, რადგან ზემოაღნიშნული მსგავსი მეთოდები ამ სფეროში თანამედროვე ფიზიკას ჯერ არ შეუქმნია. პროფესორ ვ. მამასახლისოვის მეცნიერული ინტერესი სწორედ ბირთვული ფიზიკის ამ ყველაზე რთული საკითხებისადმი იყო მიმართული.

რა არის მეცნიერის ძირითადი იდეა მსუბუქი ბირთვების თაობაზე? მისი აზრით, მსუბუქ ბირთვებში შეიძლება შეიქმნას ნეიტრონ-პროტონების რამდენიმე გამოყოფილი დაჯგუფება — კლასტერები. კლასტერები გარკვეულ პირობებში მონაწილეობენ, როგორც მთლიანები. ასეთი ვარაუდის საფუძველზე მეცნიერთა იმ ჯგუფმა, რომელსაც პროფესორი ვ. მამასახლისოვი ხელმძღვანელობდა, შეისწავლა მრავალი მსუბუქი ბირთვი და საკმაო დამაჯერებლობით შემოწმდა ეს მოდელი. ახლა იგი კლასტერული მოდელის სახელწოდებით ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოს ფიზიკის დარგის ლიტერატურაში.

ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ფიზიკოსებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სწრაფად მოქმედი ელექტრონული გამომთვლელი მანქანები. ამასთან დაკავშირებით პროფესორ ვ. მამასახლისოვის მეცნიერული ინტერესი ბირთვული ფიზიკის ზემოხსენებული მიმართულებით კიდევ უფრო გაცხოველდა, რადგან შესაძლებელი გახდა მანამდე მეტად რთული, ხანგრძლივი და დამქანცველი გამოთვლები მანქანებს შეესრულებინა. ვ. მამასახლისოვმა მიზნად დაისახა შეესწავლა მსუბუქი ბირთვების თვისებები ცალკეული შემადგენელი ნეიტრონ-პროტონების ურთიერთქმედების საფუძველზე და მოეძებნა ატომის ბირთვებში კლასტერების წარმოქმნის შესაძლებლობანი. ამ მიმართულებით მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

ვ. მამასახლისოვის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის სემინარი, რომელსაც გარდაცვალებამდე თვითონვე ხელმძღვანელობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თეორიული ფიზიკის სემინარი, რომელიც პროფესორმა 1936 წელს თეორიული ფიზიკის კათედრასთან ჩამოაყალიბა და რომელსაც 36 წლის მანძილზე უძღვებოდა.

ვ. მამასახლისოვი ასევე ერთგულად მეთაურობდა იმ სამეცნიერო საბჭოს, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სამეცნიერო ხარისხების განხილვა-მინიჭების ფუნქციები აკისრია. განსაკუთრებული სიფაქიზით, სიფხიზლით, მაგრამ ამავე დროს იმვიათი ადამიანური გულისხმიერებით უდგებოდა იგი საბჭოზე შემოტანილი საკითხების განხილვას.

მრავალრიცხოვანი მოწაფეები, მეგობრები და კოლეგები მადლიერებს გრძნობით იხსენებენ სახელოვანი მასწავლებლისა და თანამოსაქმის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვაგან მამასახლისოვის ამაგს. მისი ნაშრომნაღაწი კეთილ გზად და ხიდად დახვდება მომავალ თაობასაც.

ი. ვაშაკიძე,
თბილისის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი;

ვ. პარკაძე,
თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;

ბ. ჭილაშვილი,
დოცენტი.

ფერთა ჰარმონია

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, კინოთეატრ „თბილისის“ ჰოლში გაიხსნა მხატვარ ვახტანგ კეკელიძის ნამუშევრების გამოფენა.

ვახტანგ კეკელიძე დაიბადა 1931 წელს ლენინგრადში, სადაც მამამისი დავით კეკელიძე 1928 წლიდან ცხოვრობდა და მუშაობდა ცნობილი კიროვის (ყოფილი პუტილოვის) ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში წამყვან კონსტრუქტორად.

ბავშვობა ვახტანგმა საქართველოში გაატარა. თავდავიწყებით ხატავდა, მშვენივრად აღიქვამდა ფერებს და სიუჟეტის კოლორიტულ ნიუანსებს. მასზე დიდი გავლენა მოახდინეს ლადო გუდიაშვილმა და სოლიკო ვირსალაძემ...

1958 წელს ვ. კეკელიძემ პირველი პრემია დაიმსახურა ქალაქ ლენინგრადის მხატვართა გამოფენაზე. მის მიერ შესრულებული პოლიტიკური პლაკატები გამოირჩეოდა აქტუალურობით და მწვავე სიუჟეტებით. წლების განმავლობაში იგი წარმატებით მუშაობდა კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, თანაც გატაცებით ხატავდა პეიზაჟებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს, ქმნიდა კომპოზიციებს ისტორიულ და რევოლუციურ თემებზე, მათ შორის დასამახსოვრებელია ვ. ი. ლენინის, სუვოროვის, პუშკინის და პეტრე პირველის პორტრეტები.

და მაინც, გამოფენაზე დიდი ადამიანური სითბოთი გამოირჩეოდა მხატვრის ის ნამუშევრები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს: „თბილისი“, „თბილისის ეზოები“, „ძველი თბილისი“, „ჩემი თბილისი“, „ქართული ეკლესია“, „თბილისი აგვისტოში“, „ქართული სოფელი“, და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.

ვ. კეკელიძის ნამუშევრები დაცულია ლენინგრადში პუშკინის სახლ-მუზეუმში, სუვოროვის მუზეუმში, ცენტრალურ სამხედრო-საზღვაო მუზეუმში, რელიგიისა და ათეიზმის მუზეუმში.

ვ. კეკელიძე უეცრად გარდაიცვალა ლენინგრადში 1979 წელს.

ქართველი მხატვრის გამოფენა გახსნა კინოთეატრ „თბილისის“ დირექტორმა ლ. კულიკოვამ. ვერნისაჟზე გამოვიდნენ საბჭოთა კინოთეატრების მხატვრის გამოფენა ვ. ლაზარევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის კულტურის განყოფილების გამგე რ. ანდრონიკაშვილი, მოსკოვის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორის მოადგილე ი. რიგინა, მხატვრის და, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და საბალეტო დასის პედაგოგი ელენე კეკელიძე და ვახტანგ კეკელიძის გამზრდელი, ცნობილი მეჩაიე ქალი, საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორი ქ. კეკელიძე.

გამოფენა დიდი წარმატებით სარგებლობს. მხატვრის ანდერძის თანახმად დამ ე. კეკელიძემ თითო ნამუშევარი გადასცა მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს, კოსმონავტების სახლ-მუზეუმს ვარსკვლავეთა ქალაქში და საქართველოს სსრ მუდმივ წარმომადგენლობას.

„ვახტანგის ოცნება იყო მისი 90 ნამუშევარი გადაგვეცა მშობლიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსათვის, რათა შემდეგ ბინა დაედოთ საქართველოს სხვადასხვა რაიონის სახლ-მუზეუმებში. სიამოვნებით და დიდი სულიერი მღელვარებით ვასრულებ მის უკანასკნელ თხოვნას“, — გვითხრა მხატვრის დამ.

საბჭოთა კავშირის გმირმა, კოსმონავტმა მფრინავმა ვ. ლაზარევმა თქვა: „დიდი მადლობა, ძვირფასო მეგობრებო! ვახტანგ კეკელიძის სურათზე, რომელიც საჩუქრად გადმოგვცეს, ასახულია ჩვენი საყვარელი სამშობლოს ველ-მინდვრები და ცად ატყორცნილი თეთრი არყის ხეები. ყველა კოსმონავტის სახელით მინდა გითხრათ, რომ ქართველი მხატვრის ეს მშვენიერი პეიზაჟი გამორჩეულ ადგილს დაიჭერს კოსმონავტების ქალაქის სახლ-მუზეუმში“.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

სურათზე: მხატვრის და ე. კეკელიძე სურათს გადასცემს კოსმონავტ მფრინავს ვ. ლაზარევს.

ბ. ვორსანოვისა და ი. მილიუკოვის ფოტო.

ინფორმაცია — 83

მეტყევეთა ნობათი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). რაიონის სატყეო მეურნეობის კოლექტივმა მარშან დაამზადა 60 ტონა თივა, დიდი რაოდენობით რკო, წაბლი, წიწბონ. ბუნების ეს ნობათი მეტყევეებმა იაფი ხორცის წარმოებისათვის გამოიყენეს და თვიც ისახელეს.

— ჩვენმა კოლექტივმა, —თქვა საუბარში სატყეო მეურნეობის დირექტორმა ს. გოგოლაძემ, — დამზმარე მეურნეობიდან და აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა კოოპერირების გზით შარშან სახელმწიფოს მიჰყიდა 32 ტონა ხორცი, თითქმის იმდენი, რამდენიც რაიონის ზოგიერთმა კოლმეურნეობამ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენთან წარმოებული ხორცი გაცილებით იაფია.

მეტყევეებს ნავარაუდევი აქვთ ყოველწლიურად გაზარდონ ხორცის წარმოება და ხუთწლედის ბოლოსათვის 50-ტონიან მოჯნას მიაღწიონ.

უფრო უკეთესი პერსპექტივებიც ესახებათ მეტყევეებს — თავისუფალი ადგილების ათვისებით წლეულსვე აწარმოონ 10 ტონა სმინდის მარცვალი, მოაშენონ ფუტკარი და სხვა.

გმირის მემორიალი გელათში

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელ გელათში უკიდურესი ჩრდილოეთის პირველამფთვისებელი ქართველი სამთო ინჟინრის, ინდიგირკის პირველი სოციალისტური შრომის გმირის კონდრატ ბარნაბის ძე მაწკეპლაძის პატივსაცემად გრანიტის მემორიალი აღიმართა.

კ. მაწკეპლაძე 50 წელი ემსახურა ჩრდილოეთის ოქროს საბადოების ათვისებისა და ახალგაზრდა სამთოელთა კადრების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. იაკუტმა ხალხმა ღირსეულად დააფასა ქართველი ენთუზიასტის ღვაწლი. მისი სახელი შეტანილია იაკუტიის შრომითი დიდების წიგნში, ერთ-ერთ სამრეწველო საწარმოსა და ცენტრალურ ქუჩას მიკუთვნებული აქვს გმირის სახელი. ხოლო სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა, მემორიალური დაფა ამშვენებს. იქვე დაიდგა მისი ძეგლი.

სამშობლოს პატრიოტს უსაზღვრად უყვარდა თავისი მშობლიური გელათი. იგი სიცოცხლეში ამ სოფლის ხშირი სტუმარი იყო. და აი, ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მშობლიურმა მიწამ მიიბარა მისი ნეშტი.

სტუდენტური დღე

ამბროლაური. (საკ. კორ.). აქ ტრადიციულად დამკვიდრდა სტუდენტური დღე — ყოველწლიურად ამბროლაურელი სტუდენტები საქმიან შეხვედრას აწყობენ რაიონის საზოგადოებრიობასთან. ამჯერად ასეთი შეხვედრა, რომელიც ასამდე სტუდენტი მონაწილეობდა, მეოთხედ მოეწყო ადმინისტრაციული სახლის სააქტო დარბაზში.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ და რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე ესაუბრნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ქურდიანი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. დარახველიძე.

სტუდენტებმა პირობა დადეს, იყონ სანიმუშონი სწავლასა და ყოფაქცევაში, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დაუბრუნდნენ მშობლიურ რაიონს და მიღებული ცოდნა მოაბმარონ მთიანი კუთხის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეს.

მანქანაზეა ახალი ატრაქციონი

თბილისის სახელმწიფო ცირკში დიდი წარმატებით მიდის ახალი საცირკო პროგრამა, რომელშიც საბჭოთა ცირკის ცნობილი ოსტატები მონაწილეობენ. პროგრამაშია „პლასტიკური ეტიუდი“, „საჰაერო ეკვილიბრი“, „გაწვრთნილი ავტომობილი“, „გაწვრთნილი მტრედები“ და სხვა საინტერესო სანახაობანი. მთელ საღამოს მანეჟზე არიან გოშა და ვასია აფანასიევები.

სურათებზე: ნ. იასტრებოვა გაწვრთნილი მტრედებით; საჰაერო ეკვილიბრი არნოლდ ზინკოვსკის ხელმძღვანელობით.

ჯ. ლომაძის ფოტო.



ყაბალი

პირველი შედეგები

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალური მატჩი **ლანჩხუთის „გურიამ“** ვორონეჟის „ფაკელთან“ პენალტების სერიით მოიგო და მეთექვსმეტედფინალში გავიდა. გთავაზობთ დანარჩენი შეხვედრების შედეგებსაც: დუშანბეს „პამირი“-ვოლგოგრადის „როტორი“ — 0:1 (დამატებით დროში), რიგის „დაუგავა“-კიროვის „დინამო“ — 1:2, ალმა-ათის „ყაზრთი“-კემეროვოს „კუზბასი“ —2:0, სმოლენსკის „ისკრა“-ვოროშილოგრადის „ზარია“ — 2:0, ნოკოპოლის „კოლოსი“-ივანოვოს „ტექსტილშრომი“ — 1:0, სიმფეროპოლის „ტავრია“-ლვოვის ასკ „კარპატი“ — 1:0, კრასნოდარის „ყუბანი“-მოგილიოვის „დნეპრი“ — 3:0, ჯიზაკის „ზვეზდა“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 0:1. იაროსლავლის „შინიკი“ ხაბაროვსკში ადგილობრივ არმიელებთან შეხვედრაზე არ გამოცხადდა და წაგება ჩაეთვალა. ასევე წაგება ჩაეთვალა ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ როსტოველ არმიელებთან იმის გამო, რომ ამ გუნდის ხელმძღვანელობამ საკვა შირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში დროზე არ წარადგინა სასწავლო-სავარჯიშო მუშაობის დოკუმენტაცია.

მეთექვსმეტედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: მინსკის „დინამო“—როსტოვის ასკ, ცსკა—ბაკოს „ნეფთჩი“, მოსკოვის „ტორპედო“ — **ლანჩხუთის „გურია“**, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ვოლგოგრადის „როტორი“ — **თბილისის „დინამო“**, კიშინიოვის „ნისტრუ“ — **ჭუთაისის „ტორპედო“**, კიროვის „დინამო“ — ერევნის „არარატი“, ხარკოვის „მეტალისტი“ — ალმა-ათის „ყაზრთი“, ლენინგრადის „ზენიტი“ — სმოლენსკის „ისკრა“, ოდესის „ჩერნომორეცი“ — ნიკოპოლის „კოლოსი“, მოსკოვის „სპარტაკი“ — სიმფეროპოლის „ტავრია“, დონეცკის „შახტიორი“ — ვილნიუსის „ჟალგირისი“, ტაშკენტის „ფახთაქორი“ — ხაბაროვსკის ასკ, მოსკოვის „დინამო“ — კრასნოდარის „ყუბანი“. მატჩების მასპინძლები იქნებიან პირველად დასახელებული გუნდები. მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები გაიმართება 24 თებერვალს.

სატურნირო ორბიტა

ცურვა. მოსკოვში გრძელდება ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი. გთავაზობთ საქართველოს ნაკრების წევრთა შედეგებს: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ი. გერასიმოვამ დისტანციის გაკლას 59,59 წამი მოანდომა და მეშვიდე ადგილი დაიკავა, 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მეოთხე იყო დ. იაკოვლევი — 2.04,76.

ძალოსნობა. მოსკოვში დამთავრდა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი. გაიკანთო გამარჯვებულები: **ქალები.** 60 მეტრზე რბენა. რ. მახოვა (უკრაინა) — 7,37; 3000 მეტრზე რბენა. ო. დვირნა (ლენინგრადი) — 9.00,03; სიგრძეზე ხტომა. ე. იაცუკი (უკრაინა) — 657 სმ; სიმაღლეზე ხტომა. ტ. ბიკოვა — 191 სმ; ბირთვის კვრა. ნ. ლისოვსკაია (მოსკოვი) — 20მ. 49 სმ; ამ სახეობაში მეორე ადგილი დაიკავა ოდესელმა ნ. აბაშიძემ — 20მ. 43სმ; 800 მეტრზე რბენა. ლ. გურინა (რსფსრ) — 2.00,47; **ვაჟები.** 800 მეტრზე რბენა ვ. ზემლიანსკი (რსფსრ) — 1.48,69; სიმაღლეზე ხტომა. ს. ზასიმოვიჩი (ყაზახეთი) და ი. შევჩენკო (უკრაინა) —ორივე 228 სმ; 60 მეტრზე რბენა. ვ. ბრიზგინი (უკრაინა) — 6,69; 3000 მეტრზე რბენა. ვ. აბრამოვი (რსფსრ) — 7.50,89;

კალათბურთი. გთავაზობთ უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს: კიევის „სტროიტელი“—კაუნასის „ჟალგირისი“ — 92:83, მოსკოვის „დინამო“-„ლენინგრადის „სპარტაკი“ — 84:74, ცსკა-რიგის ვეფი — 98:64, მინსკის რტი-თბილისის „დინამო“ —109:103.

ჭადრაკი. ესპანეთის ქალაქ ლინარესში მიმდინარე დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრების შეშვიდე ტურში ულფ ანდერსონი (შვეცია) დაუბავდა არტურ იუსუპოვს, დიუსა საქსი (უნგრეთი) — ენტონი მაილსს (ინგლისი), ეფიმ გელერი —ვლასტიმილ ჰორტს (ჩეხოსლოვაკია). ამის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ანატოლ კარპოვს სამი შეხვედრა ჰქონდა გადადებული და სამივე ყაიმით დაასრულა: ანდერსონთან, იუსუპოვთან და ტიმანთან (ჰოლანდია). ლარსენსაც (დანია) სამი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი და სამივე წაგო: სპასკისთან, ჰორტთან და სეირავანთან (აშშ). გელერმა მოუგო მაილსს, ტიმანმა — ჰორტს. შვიდი ტურის შემდეგ 4-4 ქულა აქვთ მაილსს და სპასკის. 3,5-3,5 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან კარპოვი, ანდერსონი, საქსი და იუსუპოვი. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა ოთხი ტური.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ აშხაბადში 1988 წლის 15 თებერვალს გამართული 188-ე მოგებათა ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის ამ ერთიგვ თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100382	40*)	1000	135095	50*)	500	167991	1—50	100
100973	45*)	500	135815	39*)	500	168429	15*)	500
102147	24*)	500	136183	1—50	40	169051	24*)	500
103650	12*)	500	136272	20*)	1000	170057	05*)	500
104199	36*)	500	136289	06*)	500	170417	34*)	500
104739	16*)	1000	137118	34*)	500	171181	31*)	500
105184	12*)	500	137586	1—50	100	171299	41*)	500
106578	32*)	500	138123	40*)	500	175149	49*)	500
106987	10*)	500	138145	16*)	500	176765	38*)	500
107128	1—50	100	138316	34*)	1000	177760	25*)	500
107954	31*)	500	139383	1—50	40	178017	27*)	500
108153	05*)	500	139894	28*)	2500	178627	27*)	500
108859	19*)	500	140787	1—50	40	179037	35*)	500
109837	1—50	100	141138	1—50	40	179259	39*)	500
109885	35*)	1000	141297	1—50	40	179409	35*)	500
110378	37*)	500	141682	22*)	500	179538	46*)	2500
111215	43*)	500	142366	1—50	40	181018	1—50	100
111547	40*)	500	142415	28*)	1000	181411	19*)	500
111752	22*)	500	142745	39*)	500	181962	18*)	1000
112275	20*)	500	142776	38*)	5000	182251	15*)	500
112380	25*)	1000	145194	15*)	2500	182295	1—50	40
112408	1—50	100	146218	1—50	40	182458	1—50	40
112646	09*)	2500	147764	19*)	500	183093	1—50	40
113305	05*)	500	148650	1—50	40	183331	1—50	40
114099	1—50	40	149165	43*)	500	183984	12*)	500
114244	1—50	40	149337	47*)	1000	183989	1—50	40
114549	34*)	500	149777	01*)	1000	184807	15*)	500
114734	32*)	500	150467	26*)	500	185744	26*)	1000
115144	27*)	500	150793	03*)	500	185870	33*)	500
115488	1—50	40	151337	30*)	500	186427	09*)	500
115721	1—50	100	151907	1—50	40	186509	02*)	500
116924	32*)	500	152160	05*)	500	186969	30*)	500
117028	1—50	100	152378	17*)	500	187305	25*)	500
118484	1—50	100	153857	1—50	40	187435	49*)	500
118992	44*)	500	154125	11*)	500	187672	1—50	40
120340	39*)	500	154554	24*)	500	187961	26*)	500
120514	05*)	500	155000	21*)	500	188135	1—50	40
121746	45*)	1000	155401	13*)	2500	188463	20*)	500
122550	10*)	5000	156303	13*)	500	188573	05*)	500
122756	11*)	500	158487	26*)	500	188589	34*)	500
122924	08*)	500	157194	12*)	500	189154	24*)	500
123848	45*)	500	158107	27*)	500	189336	1—50	100
123909	1—50	40	158398	1—50	40	189351	40*)	1000
124449	32*)	500	158460	1—50	40	191532	01*)	500
124644	1—50	100	160376	20*)	500	191604	06*)	500
124838	1—50	40	161171	1—50	100	191951	23*)	1000
124879	03*)	500	161259	18*)	500	192057	1—50	40
125083	31*)	500	161288	07*)	500	192986	15*)	1000
126659	14*)	1000	161674	22*)	500	193268	1—50	100
127231	39*)	500	161942	43*)	1000	194267	25*)	500
127395	24*)	500	162156	1—50	40	194588	1—50	100
127692	1—50	40	162378	1—50	40	195117	48*)	500
128647	1—50	40	163169	43*)	1000	195840	31*)	500
128749	1—50	100	164828	03*)	500	195843	06*)	500
128925	48*)	500	165091	33*)	500	196570	1—50	40
131169	38*)	1000	166071	25*)	500	196975	1—50	40
131208	08*)	500	166154	29*)	500	197006	20*)	500
131921	1—50	40	166402	40*)	500	197519	1—50	40
132370	29*)	500	166573	1—50	40	197772	1—50	40
132393	16*)	500	166857	38*)	500	198562	03*)	500
132405	21*)	500	167020	1—50	40	198843	01*)	500
133250	15*)	1000	167227	49*)	500	199077	07*)	500
133288	21*)	500				199223	1—50	40

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცამანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი სესხი

1988 წლის 15 თებერვალს ქალაქ აშხაბადში გამართული მოგებათა მე-9 ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის შვიდივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
200779	083*)	1000	231758	1—100	250	271362	1—100	100
201185	005*)	1000	233998	041*)	500	271755	088*)	2500
201740	057*)	500	234352	096*)	5000	272983	089*)	5000
201787	052*)	500	235019	071*)	2500	273503	095*)	1000
201950	009*)	500	235163	091*)	1000	273888	002*)	500
202672	073*)	2500	235276	074*)	1000	274063	030*)	500
204008	003*)	2500	236190	020*)	500	274184	1—100	250
204069	084*)	500	236620	057*)	500	274468	037*)	1000
205079	1—100	100	236979	052*)	500	276155	1—100	100
205546	008*)	1000	237384	052*)	500	276228	039*)	500
205866	1—100	100	237899	074*)	2500	276524	085*)	2500
206531	043*)	500	238165	009*)	1000	277173	081*)	2500
207273	1—100	250	239006	100*)	1000	278132	1—100	100
207387	063*)	500	239170	1—100	250	278255	031*)	1000
207388	069*)	500	239634	060*)	500	278411	085*)	1000
208498	088*)	1000	241152	045*)	500	278679	070*)	500
208528	005*)	2500	241684	064*)	500	279282	055*)	500
210102	045*)	1000	243190	1—100	100	279296	077*)	2500
210592	1—100	100	243941	077*)	1000	279563	038*)	500
211833	1—100	250	243956	089*)	500	279671	1—100	100
212384	019*)	500	243989	1—100	100	279781	016*)	1000
212667	1—100	250	244159	1—100	250	279819	1—100	250
213936	1—100	100	244383	001*)	1000	279822	1—100	100
213988	040*)	1000	245091	090*)	500	280305	1—100	250
215157	002*)	1000	245537	079*)	500	281357	1—100	100
215402	001*)	1000	245881	1—100	100	281811	029*)	500
215731	018*)	1000	246537	071*)	500	282027	001*)	500
215826	1—100	100	247080	007*)	1000	282055	1—100	250
216347	073*)	1000	247351	080*)	1000	282749	1—100	100
217303	1—100	100	247409	1—100	250	283369	084*)	2500
217554	1—100	250	248145	026*)	1000	284064	023*)	1000
218352	038*)	1000	249156	1—100	100	284279	030*)	1000
218571	1—100	100	249218	096*)	500	284543	053*)	1000
219007	003*)	500	249709	060*)	1000	285506	046*)	10000
219420	080*)	1000	251116	013*)	500	287052	094*)	500
219886	1—100